www.opendata.ge

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

№ 1-1/283 „05" 03 2010 წ.

## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქვემო თელეთი 2009"-ის საკუთრების უფლების დადასტურების თაობაზე

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 და მე-7 მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 18.12.2009წ. №917 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის №1-1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და არასამეწარმეო (იურიდიულ) პირ "ქვემო თელეთი 2009"-ს შორის 2010 წლის 11 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2010 წლის 15 თებერვლის №449/5-10 სასამსახურო ბარათის და სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის 2010 წლის 1 მარტის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს "ქვემო თელეთი 2009"-ს დაუდასტურდეს საკუთრების უფლება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ თელეთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული) საერთო ფართობით 645452 კვ.მ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.
2. დადგენილი წესის შესაბამისად გაიცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.
3. ეს ბრძანება გაეგზავნოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს "ქვემო თელეთი 2009"-ს მის: გარდაბნის რაიონი, სოფ. თელეთი
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბატონ ხულიან სისაურს.
5. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.7), ხოლო შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზურაბ პოლოლიკაშვილი

www.opendata.ge

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქვემო თელეთი 2009"-სათვის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით გასაცემი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები

| № | რეგისტრაციის ნომერი საჯარო რეესტრში | ფართობი კვ.მ. | ფართობი ჰა |
|---|---|---|---|
| 1 | 81.03.08.376 | 116107 | 11.6107 |
| 2 | 81.03.08.387 | 65970 | 6.597 |
| 3 | 81.03.08.388 | 15078 | 1.5078 |
| 4 | 81.03.08.389 | 9632 | 0.9632 |
| 5 | 81.03.08.390 | 78345 | 7.8345 |
| 6 | 81.03.08.391 | 44569 | 4.4569 |
| 7 | 81.03.08.392 | 58618 | 5.8618 |
| 8 | 81.03.08.401 | 47653 | 4.7653 |
| 9 | 81.03.08.374 | 31395 | 3.1395 |
| 10 | 81.03.08.375 | 55064 | 5.5064 |
| 11 | 81.03.08.377 | 30440 | 3.044 |
| 12 | 81.03.08.378 | 92581 | 9.2581 |

სულ: 645452 64.5452

www.opendata.ge



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქვემო თელეთი 2009“-სათვის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით გადასაცემი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები

| № | რეგისტრაციის ნომერი საჯარო რეესტრში | ფართობი კვ.მ. | ფართობი ჰა |
|---|---|---|---|
| 1 | 81.03.08.376 | 116107 | 11.6107 |
| 2 | 81.03.08.387 | 65970 | 6.597 |
| 3 | 81.03.08.388 | 15078 | 1.5078 |
| 4 | 81.03.08.389 | 9632 | 0.9632 |
| 5 | 81.03.08.390 | 78345 | 7.8345 |
| 6 | 81.03.08.391 | 44569 | 4.4569 |
| 7 | 81.03.08.392 | 58618 | 5.8618 |
| 8 | 81.03.08.401 | 47653 | 4.7653 |
| 9 | 81.03.08.374 | 31395 | 3.1395 |
| 10 | 81.03.08.375 | 55064 | 5.5064 |
| 11 | 81.03.08.377 | 30440 | 3.044 |
| 12 | 81.03.08.378 | 92581 | 9.2581 |

სულ: 645452 64.5452

www.opendata.ge

# საქართველო
## ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
## საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ 1879-პ

გაიცემა ააიპ „ქვემო თელეთი 2009" ს
(მესაკუთრე და მისი მისამართი)
გარდაბნის რაიონი, სოფელი თელეთი მასზედ,

რომ მას გადაეცა საკუთრებაში ვალდებულებების შესრულების მიზნით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ თელეთში
(ქონების დასახელება და მისამართი)
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

თანახმად დანართი ერთისა

მიწის ფართობი საერთო ფართობით 645452 კვ.მ საკუთრება
(მფლობელობის ფორმა)

საფუძველი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 05 მარტის №1-1/283 ბრძანება

ხელშეკრულების თარიღი 11 თებერვალი 2010წ

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა

ააიპ „ქვემო თელეთი 2009"
(მესაკუთრის სახელი, გვარი / დასახელება)

რომელმაც ერთი ეგზემპლარი წარუდგინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო მესამე ინახება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის ნაწილს წარმოადგენს

გაცემულია 2010 წლის «15» მარტი

მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი